ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №355678

ნომერი: AR174985

თარიღი : 22.08.2012

გაცემის თარიღი : 18.09.2012

გაცნობის თარიღი : 18.09.2012

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სასტუმრო "აკადემია"-სა და რესტორან "დელისი"-ს მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- კობა შამათავა პ/ნ 01024031355
- თბილისი შ.ნუცუბიძის ქ. N 26 ბ. 25

ორგანიზაცია:
- შპს ფორტაქს გრუპ კოდი: 206344543

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი 2012 წლის 22 აგვისტოს #AR174985 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 25 ივნისის #264237 ბრძანებაში თქვენს მიერ დაშვებული ტექნიკური ხარვეზის გასწორებას.
პასუხად გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 07 სექტემბრის №342464 ბრძანებით თქვენს განცხადებას დაუდგინდა ხარვეზი და
დაგევალათ შეთანხმებულ პროექტში არსებული ფართების სწორი ანგარიშით განმარტებითი ბარათის წარმოდგენა, ვინაიდან, მოცემული დოკუმენტაციით ვერ დგინდებოდა შეცდომის არსი და წარმოდგენილი მაჩვენებლები არ შეესაბამებოდა სინამდვილეს.
ზემოაღნიშნული ხარვეზი თქვენს მიერ არ იქნა სრულად შევსებული, მაგრამ ვინაიდან არ იყო გასული სამსახურის მიერ ხარვეზის შესავსებად მოცემული ვადა სამსახურმა ორჯერ მოგცათ შესაძლებლობა მის სრულად აღმოსაფხვრელად.
საბოლოოდ, შესწორებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შედეგად საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2012 წლის 25 ივნისის #264237 ბრძანებაში მითითებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შესაბამისობაშია საპროექტო დოკუმენტაციასთან, მოთხოვნილი ცვლილებით არ იცვლება საერთო ფართი და მათ შორის შემავალი ფართები, შესაბამისად, მოთხოვნა უსაფუძვლოა და ვერ დაკმაყოფილდება.
გარდა ამისა, განმცხადებელი უთითებს, რომ ტექნიკური ხარვეზის გასწორება გეგმებზე გამოწვეულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ დადგენილი ხარვეზით, რომლის შესაბამისად სარეგისტრაციოდ წარდგენილი შპს "ფორტაქს გრუპი"–ს პარტნიორის გადაწყვეტილება (მშენებლობადამთავრებული ფართების განაწილების ცხრილი) შეუსაბამობაშია სამსახურის მიერ შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციასთან და მოთხოვნილი იქნა შპს "ფორტაქს გრუპი"–ს პარტნიორის გადაწყვეტილება, რომლითაც გადანაწილებული ფართები შესაბამისობასობაში იქნება მოყვანილი საპროექტო დოკუმენტაციასთან და არა პირიქით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიიღო გადაწყვეტილება არ დააკმაყოფილოს მოთხოვნა ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 25 ივნისის #264237 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების თაობაზე.
